

ქართული ლექსიკოგრაფიული ტერმინოლოგიის  
სტრუქტურული და ტერმინშემოქმედებითი ანალიზი

მარიამ გოგიჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლექსიკოგრაფიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და  
თანამედროვე ტექნოლოგიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## ანოტაცია

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რაც განაპირობებს მის მუდმივ ცვლილებასა და განვითარებას. დროის სვლასთან ერთად იცვლება და ვითარდება სხვადასხვა დარგი, იქმნება და მკვიდრდება ახალი ტერმინოლოგია. ნაშრომის ძირითად მიზანსა და კვლევის წარმოების მოტივაციას სწორედ ტერმინოლოგიურ პროცესებზე დაკვირვება წარმოადგენს. შეირჩა ორი სფერო, ლექსიკოგრაფია და ტერმინოლოგია და მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. საკვლევი ტერმინების მოსაპოვებლად ვისარგებლეთ ორი წყაროთი, ესენია: 2023 წელს ჩატარებული კონფერენციის „ლექსიკოგრაფია XXI საუკუნეში“ ორენოვანი ინგლისურ-ქართული მასალები და ისო 704\_2022 სტანდარტი და მისი ქართული თარგმანი. მასალის შეკრებისათვის გამოვიყენეთ კორპუსული მეთოდოლოგია და ტერმინების ამომცნობი ინსტრუმენტი სინქროტერმი. სულ გაანალიზდა 354 ტერმინი. ტერმინები გავაანალიზეთ სტრუქტურული და ტერმინთშემოქმედებითი მეთოდების თვალსაზრისით. ტერმინების ანალიზისას ასევე შევისწავლეთ ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსისა და სინქროტერმის მეთოდის ეფექტურობაც ტერმინოლოგიური მუშაობისათვის როგორც ქართულ ენასთან ისე ინგლისურ ენასთან მიმართებით. ჩვენ მიერ მოპოვებული ტერმინები გადამოწმდა „დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში“ და აღმოჩნდა, რომ ამ ტერმინების დიდი ნაწილი ლექსიკონში არ იყო ასახული, რისთვისაც მოვამზადეთ ლექსიკოგრაფიული მასალები და გადავეცით ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას ლექსიკონში შესატანად. ჩატარებულმა სამუშაომ გამოავლინა, რომ აღნიშნული დარგების ტერმინთა დიდი ნაწილი შექმნილია ქართული ენის რესურსებით, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ ქართულ ენას საკმარისი ენობრივი საშუალებები აქვს ახალი ტერმინების საწარმოებლად და არ არის გამართლებული ტერმინთა ხშირი სესხების თანამედროვე ტენდენცია ქართულში. თარგმნითი ნასესხობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია ქართული ტერმინების საწარმოებლად. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი უდავოდ კარგი პლატფორმაა ინგლისურ-ქართულ ტერმინოლოგიაზე სამუშაოდ. „სინქროტერმი“ შეიძლება ჩაითვალოს ტერმინთა ნახევრად-ავტომატურ რეჟიმში ამომცნობ ინსტრუმენტად ინგლისურ-ქართული ტერმინების მოსაპოვებლად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა პროგრამული ინსტრუმენტების ტესტირებაც ამ მიზნით, უფრო უკეთესი შედეგების მისაღებად.

## **Annotation**

Language is a dynamic entity that continually evolves and undergoes transformation. Over time, various domains experience change, there appear and establish new terminology, influencing linguistic processes. The primary objective of this study is to observe and analyze the terminological processes and developments. For this purpose two fields were selected, lexicography and terminology. Our investigation draws from two key sources: bilingual English-Georgian materials of the international conference "Lexicography in the XXI Century", held in November 2023 and the ISO 704:2022 standard for terminological work and its Georgian translation.

For data collection we employed the corpus method and the term identification tool SynchroTerm. Altogether 354 terms were collected and studied. Terms underwent detailed analysis according to structural and term formation methods. Throughout our study, we evaluated the efficacy of the English-Georgian Parallel Corpus platform and SynchroTerm in identifying terms across both English and Georgian languages. Furthermore, our data of terms was checked in the "Comprehensive English-Georgian Online Dictionary" which highlighted a substantial number of terms absent from its entries. Consequently, we have compiled entries of these terms for submission to the Editorial Board of the Dictionary with the recommendation for their inclusion in the dictionary.

Our study has revealed that the terminology of these fields is created by using resources of the Georgian language, which is a proof that the Georgian language has enough linguistic means

for the formation of new terms and the modern tendency of extensive borrowings of terms is not justifiable. Loan translation is one of the most frequently used methods for term formation in these fields.

English-Georgian Parallel Corpus is undoubtedly a helpful platform for the study of English-Georgian terminology. SynchroTerm can be regarded as a tool for the semi-automatic detection of terms. We consider it advisable to test efficiency of other similar tools in future for achieving better results.